საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მელიორაცია

მელიორაცია (ლათ. melioratio - გაუმჯობესება), ჰიდრო-ტექნიკური, აგრო-ეკოლოგიური და ტექნიკურ-ეკონომიკური ღონის-ძიებების კომპლექსი, რ-იც მიმართულია მიწის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების (ნიადაგობრივი, კლიმატური, ჰიდროლოგიური) ხანგრძლივი ვადით გაუმჯობესებისაკენ. მ. იყოფა სამ ჯგუფად: 1. არახელსაყრელი წყლის რეჟიმიანი მიწების მ.; 2. ცუდი ფიზ. და ქიმ. თვისებების მქონე მიწების მ.; 3. მიწებისა, რ-ებიც განიცდიან წყლისა და ქარის უარყოფით ზემოქმედებას. მათგან ყველაზე მეტად გავრცელებულია პირველი ჯგუფი. ჭაობებისა და ჭარბტენიანი ნიადაგების მ-ის მიზანია ღია და დახურული დამშრობი ქსელით ნიადაგიდან ჭარბი წყლის მოცილება; აერაციისა და ტემპ-რული რეჟიმის გაუმჯობესება; ორგ. ნივთიერებების დაშლის აერობული პროცესის გაძლიერება. მშრალი მიწათმოქმედების რ-ნებში საჭიროა ნიადაგში ტენის მარაგის გაზრდა ხელოვნური რწყვით, რისთვისაც აშენებენ ღია და დახურულ სარწყავ სისტემებს, წყალსაცავებსა და სხვ. მელიორაციულ ღონისძიებათა კომპლექსს, რ-იც აუმჯობესებს არახელსაყრელ წყლის რეჟიმიან მიწებს, ჰიდროტექ. მ. ეწოდება.

მ. უძველესი დროიდან ვითარდებოდა შუა აზიაში, ჩინეთსა და ინდოეთში, აგრეთვე შუამდინარეთში, ეგვიპტეში, სადაც ძვ. წ. 4500 წელს აშენებული იყო 420 *კმ* სიგრძის სარწყავი არხი და 1200 *კმ*^{2} ფართობის წყალსაცავი.

საქართველოში მ-ის განვითარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. სტრაბონი (ახ. წ. I ს.) წერდა: ,,ეს ქვეყანა (საქართველო) უფრო მეტად ირწყვება მდინარეთა და სხვა წყლებით, ვიდრე თვით ბაბილონი და ეგვიპტე~. საქართველოს უძველესი სარწყავი ქსელი დროთა განმავლობაში განადგურდა; შემორჩენილია გარდაბნის არხი (V ს.), წილკნის რუ (VI ს.) და სხვ. XII ს-ში მდ. არაგვიდან გაიყვანეს 20 *კმ* სიგრძის არხი (,,თამარის არხი“), რ-იც სოფ. ჟინვალთან იწყებოდა და გარდაბნის ველს აღწევდა. თამარ მეფის ბრძანებით გაიყვანეს ასევე 119 *კმ* სიგრძის ალაზნის არხი, მდ. ლიახვიდან კი - ორი რუ.

XX ს-ში საქართველოში სწრაფად ვითარდებოდა ირიგაცია: 20-იან წლებში გასარწყავებული იყო 95 ათ. *ჰა*, 1950-ში _ 247 ათ. *ჰა*, ხოლო 1976-ში _ 370 ათ. *ჰა*. მ-ის მიზნის მისაღწევად შეიქმნა სახელმწ. სტრუქტურები, ხოლო სამეცნ.-კვლ. მუშაობა ტარდებოდა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ინ-ტში (დაარსდა 1925, 2014-იდან - სტუ-ის ც. მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინ-ტი) და შესაბამისი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში. ინ-ტს 2005-იდან ხელმძღვანელობს გ. გავარდაშვილი. აქ ძირითადად ტარდება მ-ში არსებული თანამედროვე პრობლემების მეცნიერული კვლევა.

საქართვ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განხორციელდა მ-ის დარგის მნიშვნელოვანი მოდერნიზაცია. ამჟამად პოლიტიკას მ-ის სფეროში ახორციელებს საქართვ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო სამუშაოების დიდ ნაწილს ასრულებს ამ სამინისტროს დაქვემდებარებული უწყება - შპს საქართველოს მელიორაცია, რ-ის 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფოა. საქართველოში მ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ა. დიდებულიძემ, ი. ჩხენკელმა. ც. მირცხულავამ, მ. გაგოშიძემ, ო. ნათიშვილმა, ა. მოწერელიამ, ვ. ვოზნესენსკიმ, ფ. შატბერაშვილმა, ბ. ჩხიკვიშვილმა, გ. ტუღუშმა, ვ. ბუაჩიძემ და სხვ.

გ. გავარდაშვილი